



საკონსტიტუციო სასამართლოს  
განმარტებით სათანადო დასაბუთების  
გარეშე ადმინისტრაციული დაკავების  
მაქსიმალური ვადის გამოყენება  
უკანონოა



საქართველოს  
ახალგაზრდა  
იურისტთა  
ასოციაცია

# საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით სათანადო დასაბუთების გარეშე ადმინისტრაციული დაკავების მაქსიმალური ვადის გამოყენება უკანონოა

26 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად არ მიიღო საია-ს საქმე ვასილ ჟიჟიაშვილი და გიორგი გოცირიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, თუმცა, სასამართლომ განჩინებაში მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სათანადო დასაბუთების გარეშე ადმინისტრაციული წესით დაკავების მაქსიმალური ვადის გამოყენება უკანონოა. შესაბამისად, დაკავების საფუძვლის ამოწურვისთანავე, დაკავებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს, მიუხედავად იმისა, ამოწურულია თუ არა დაკავების მაქსიმალური ვადა.

ამ საქმეში სადავოდ იყო გამხდარი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციული დაკავების ზოგად ვადებს. კერძოდ, დადგენილია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის ადმინისტრაციული დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს, ხოლო თუ

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ადმინისტრაციული დაკავების ვადა ემთხვევა არასამუშაო დროს, პირი შეიძლება დაკავებულ იქნეს და მოთავსდეს დროებითი მოთავსების იზოლატორში უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქმის განხილვამდე, რა შემთხვევაშიც პირის დაკავების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს იმ მიზნებს, რომელთა მისაღწევადაც დასაშვებია პირის ადმინისტრაციული დაკავება. ასეთი მიზნებია ☐ ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთა, როცა ამონურულია ზემოქმედების სხვა ზომები; ბ) პიროვნების დადგენა; გ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა, თუ ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია; დ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დროულად და სწორად განხილვა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების აღსრულების უზრუნველყოფა. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც პირის დაკავების საფუძველი ამონურულია, თუმცა ვინაიდან არ არის გასული დაკავების მაქსიმალური ვადა, უფლებამოსილი ორგანო არ ათავისუფლებს დაკავებულ პირს. აღნიშნული პრაქტიკიდან გამომდინარე, საია-ს მიაჩნდა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენისა და პიროვნების დადგენის მიზნით დაკავებაზე უფლებამოსილ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას დაკავების მაქსიმალურ ვადად გამოიყენოს 247-ე მუხლში მოცემული მაქსიმალური ვადები, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველ (ადამიანის თავისუფლების უფლება) პუნქტს და არაკონსტიტუციურად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

**A**

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: [gyla@gyla.ge](mailto:gyla@gyla.ge); [www.gyla.ge](http://www.gyla.ge)  
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: [gyla@gyla.ge](mailto:gyla@gyla.ge); [www.gyla.ge](http://www.gyla.ge)